MES 9 22 0000393627

15/04/2022

სახელმწიფო შესყიდვის შესახებხელშეკრულება №32020601/05/95

(CPV) კოდი: **22111000** - სასკოლო წიგნები

(SMP220000917)

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, სსიპ **„საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"**, მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის N1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული, ს/კ 202294980; სახელმწიფო ხაზინა, ა/ა GE24NB0330100200165022, კოდი: TRESGE22 (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან სუხიტაშვილის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი") და მეორე მხრივ, **შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"** წარმოდგენილი მისი დირექტორის თინათინ მამულაშვილის სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი"), 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2022 წლის 13 აპრილის N1301 განკარგულების, ავტორებთან გაფორმებული (საავტორო უფლების გადაცემის შესახებ) ხელშეკრულების, 2022 წლის 18 მარტის N283530, 2022 წლის 18 მარტის N281460 და 2022 წლის 18 მარტის N284073 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების მიწოდება;

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის პირობები, ერთეულის ფასები და აღწერილობა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, დანართი N1, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმების დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

4.1.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **158 670.00 (ას ორმოცდათვრამეტი ათას ექვსას სამოცდაათი) ლარს**.

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, შენახვის და ტრანსპორტირების ხარჯებს.

5. მომსახურების გაწევის ვადები, წესი და ადგილი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა შეადგენს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარულ დღეს.

5.2. წიგნების მოწოდება უნდა განხორციელდეს სათანადო შეფუთვით (პოლიეთილენი ან ქაღალდი) რაზედაც აღნიშნული იქნება კონკრეტული სახელმძღვანელოს დასახელება, რაოდენობა და წიგნის კოდი.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ჩამოტვირთვა სატრანსპორტო საშუალებიდან და სააგენტოს დროებით სარგებლობაში არსებულ საწყობში განთავსება. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, იუმაშევის ქ. N4.

5.5. საქონლის მიწოდება ხდება ამ ხელშეკრულების დადგენილი წესის მიხედვით.

6. მხარეთა ვალდებულებები და გარანტიები

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 2.1. და 2.2. პუნქტებში მითითებული უნაკლო საქონელი.

6.2. თუკი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. შემსყიდველი ვალდებულია საქონლის სრულყოფილად მიწოდების შემდეგ გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.5. მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი მიწოდებისას წარმოადგინოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტის დასკვნა (რომლითაც უნდა დადასტურდეს მოწოდებული საქონლის შესაბამისობა სააგენტოს მიერ მოთხოვნილ მახასითებლებთან მიმართებაში), რის შემდეგაც მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება. დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება და შესაბამისი ხარჯის გაწევა ეკისრება მიმწოდებელს.

6.6. შემსყიდველი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელს მოსთხოვოს დამატებითი კვლევის ჩატარება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. ასეთ შემთხვევაში, შესაბამისი ხარჯის გაწევა ეკისრება მიმწოდებელს.

6.7. მიმწოდებელი ვალდებულია ხარისხის პრევენციის მიზნით, განახორციელოს მოცემული ტექნიკური პარამეტრების შესაბამისობა გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოსთან მიმართებაში;

6.8. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მისთვის დაუძლეველი გარემოებების დადგომისას, რითაც საფრთხე შეექმენება ვალდებულების შესრულებას, დაუყოვნებლივ გამონახოს ალტერნატიული გზები და საშუალებები ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების დაცვით;

7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

7.2. ხელშეკრულების ფარგლებში შესაძლებელია განხორციელდეს სამი სახის ანგარიშსწორება: საავანსო, ეტაპობრივი, საბოლოო;

7.3. წინასწარი ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მიმწოდებლის მოთხოვნით, შემსყიდველის მიერ განსაზღვრული და მასთან წინასწარ შეთანხმებული ოდენობის შესაბამისად, ხელშეკრულების ღირებულების 30%-მდე ოდენობით. საავანსო ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში „მიმწოდებელმა“ უნდა წარმოადგინოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან გაცემული უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია საავანსო თანხაზე, რომლის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული

დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში - ლარში. უცხოური ბანკიდან საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში მასთან ერთად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული საბანკო გარანტიის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან გაცემული „კონტრგარანტია" (ლარში). საბანკო გარანტია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).

7.4. ავანსის სახით გადახდილი თანხის გაქვითვა მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების პროპორციულად.

7.5. ეტაპობრივი ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტის დასკვნის (რომლითაც უნდა დადასტურდეს მოწოდებული საქონლის შესაბამისობა სააგენტოს მიერ მოთხოვნილ მახასითებლებთან მიმართებაში) საფუძველზე, ამ დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

7.6. საბოლოო ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდების დასრულების შემდეგ, ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის მიხედვით, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტისა და და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტის დასკვნის (რომლითაც უნდა დადასტურდეს მოწოდებული საქონლის შესაბამისობა სააგენტოს მიერ მოთხოვნილ მახასითებლებთან მიმართებაში) საფუძველზე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

8. ხელშეკრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების პირობების შესრულების მიზნით შემსყიდველი ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას უშუალოდ მიმწოდებლის ადგილზე. ინსპექტირების ჯგუფის წევრები არიან: სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს თანამშრომლ(ებ)ი - ნიკოლოზ სხილაძე.

8.2. მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირები არიან: სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს თანამშრომლები: პროექტის მენეჯერი ეკატერინე ომიაძე ან/და მთავარი სპეციალისტი ირმა ხუფენია.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

9.1. მიღება-ჩაბარება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, ხელშეკრულების 5.1. პუნქტის გათვალისწინებით.

9.2. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე: ქ. თბილისი, იუმაშევის ქ. N4;

9.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ხელშეკრულებით დათქმულ ვადებში და ადგილზე. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით;

10.3. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ).

10.4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ეტაპების ან/და საბოლოო ვადის დარღვევის შემთხვევაში (მათ შორის უხარისხო, არასრული მოცულობით, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტის დასკვნის გარეშე მიწოდების შემთხვევაში) მიმწოდებელს, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ფარგლებში დარჩენილი შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

10.5. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადას გადააცილებს 5 (ხუთი) კალენდარულ დღეზე მეტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და ხელშეკრულების ნაწილობრივი შესრულების გამო მიმწოდებელი დაჯარიმოს ხელშეკრულების ფარგლებში დარჩენილი შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.6. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის საფუძველზე მეორე მხარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ;

10.7. ხელშეკრულების მხარე, რომელიც მიიღებს ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი;

10.8. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.9. შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, ასევე, შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

10.10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში (10.4. და 10.5. პუნქტებით გათვალისწინებულის გარდა) მიმწოდებელი, ყოველ შემთხვევაზე, ჯარიმდება, ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 5%-ის ოდენობით;

10.11. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულებას ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და გამოითხოვოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია;

10.12. თუ შემსყიდველი ხელშეკრულების 7.5. პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, ამავე პუნქტში მითითებულ ვადაში, ვერ უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას, მიმწოდებელი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ეტაპების გადახედვის თაობაზე;

10.13. ამ მუხლის 10.9. პუნქტში მითითებული რომელიმე გარემოებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება;

10.14. ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც უკავშირდება შესყიდვის ობიექტის დაგეგმილ ვადაში მიწოდებას და არ იფარება პირგასამტეხლოს თანხით;

11. ფორს-მაჟორი

11.1. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ).

11.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს

მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, რაც წერილობით უნდა დაუდასტუროს შემსყიდველმა. თუ შემსყიდველი დამდგარ გარემოებას არ ჩათვლის ფორსმაჟორად, მიმწოდებელი ვალდებულია გააგრძელეოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და გამონახოს ამ ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები და გზები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

11.3. მხარეთა მიერ გათვალისწინებული ფორსმაჟორული გარემოებების გასვლის შემდეგ, თითოეული მხარე ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

12.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

12.5. ხელშეკრულების 12.4. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

14. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი რჩება შემსყიდველს, ერთი – შემსრულებელს);

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო",მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის N1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული, ს/კ 202294980; სახელმწიფო ხაზინა, ა/ა GE24NB0330100200165022, კოდი: TRESGE22

დირექტორი ლევან სუხიტაშვილი

_____

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი", მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N150, ს/კ 204931164, ტელ: 2 91 11 65, 599 782580, სს „თი ბი სი ბანკი", ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ნ GE78TB1100000015467964

დირექტორი თინათინ მამულაშვილი

Tinatin Mamulashvili 01018000166

Digitally signed by Tinatin Mamulashvili
Date: 2022.04.19 10:56:54

_____

(ხელმოწერა)

ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
დირექტორი
სუხიტაშვილი ლევან

დანართი №1

კომპანიის დასახელება:	შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"
ს/კ:	204931164
საბანკო ანგარიში:	GE78TB1100000015467964
მომსახურე ბანკი:	სს თიბისი ბანკი
დირექტორის სახელი და გვარი:	თინათინ მამულაშვილი
მისამართი:	დავით აღმაშენებლის 150
საკონტაქტო ნომერი:	599782580

თარიღი:	17/03/2022

გამომცემლობა	სექტორი	კლასი	საგანი	სახელმძღვანელოს დასახელება	წიგნის კოდი	სახელმძღვანელოების კომპლექტი	შიგთავსის გვერდების რაოდენობა	ყარეკანის გვერდების რაოდენობა და ფერები	შიგთავსის ფერების რაოდენობა	წიგნის/რვეულის ფორმატი	ავნძების ტიპი	შესასყიდი რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	ჯამური ღირებულება
შპს " სულაკაურის გამომცემლობა"	აზერბაიჯანული	10	ისტორია	ისტორია	788	მოსწავლის წიგნი	116	4+4	4+4	195 X 265	თერმული	237	30.00	7110.00
შპს " სულაკაურის გამომცემლობა"	რუსული	10	ისტორია	ისტორია	852	მოსწავლის წიგნი	116	4+4	4+4	195 X 265	თერმული	115	30.00	3450.00
შპს " სულაკაურის გამომცემლობა"	სომხური	10	ისტორია	ისტორია	853	მოსწავლის წიგნი	116	4+4	4+4	195 X 265	თერმული	169	30.00	5070.00
სულაკაური/Langenscheidt	სექტორის გარეშე	კლასის გარეშე	მეორე უცხო ენა (გერმანული)	Genial A1	751	მოსწავლის წიგნი	120	4+0	4+4	195 X 265	თერმული	172	30.00	5160.00
სულაკაური/Langenscheidt	სექტორის გარეშე	კლასის გარეშე	მეორე უცხო ენა (გერმანული)	Genial A1	751რ	მოსწავლის რვეული	96	2+0	1+1	195 X 265	თერმული	1187	10.00	11870.00
სულაკაური/Langenscheidt	სექტორის გარეშე	კლასის გარეშე	მეორე უცხო ენა (გერმანული)	Genial A2	752	მოსწავლის წიგნი	120	4+0	4+4	195 X 265	თერმული	100	30.00	3000.00
სულაკაური/Langenscheidt	სექტორის გარეშე	კლასის გარეშე	მეორე უცხო ენა (გერმანული)	Genial A2	752რ	მოსწავლის რვეული	104	2+0	1+1	195 X 265	თერმული	1326	10.00	13260.00
სულაკაური/Langenscheidt	სექტორის გარეშე	კლასის გარეშე	მეორე უცხო ენა (გერმანული)	Genial B1	753	მოსწავლის წიგნი	144	4+0	4+4	195 X 265	თერმული	347	30.00	10410.00
სულაკაური/Langenscheidt	სექტორის გარეშე	კლასის გარეშე	მეორე უცხო ენა (გერმანული)	Genial B1	753რ	მოსწავლის რვეული	112	2+0	1+1	195 X 265	თერმული	1228	10.00	12280.00
სულაკაური/Langenscheidt	სექტორის გარეშე	კლასის გარეშე	მეორე უცხო ენა (გერმანული)	Optimal A1	754	მოსწავლის წიგნი	112	4+0	4+4	195 X 265	თერმული	464	20.00	9280.00
სულაკაური/Langenscheidt	სექტორის გარეშე	კლასის გარეშე	მეორე უცხო ენა (გერმანული)	Optimal A1	754რ	მოსწავლის რვეული	128	2+0	1+1	195 X 265	თერმული	2220	10.00	22200.00
სულაკაური/Langenscheidt	სექტორის გარეშე	კლასის გარეშე	მეორე უცხო ენა (გერმანული)	Optimal A2	755	მოსწავლის წიგნი	112	4+0	4+4	195 X 265	თერმული	462	20.00	9240.00
სულაკაური/Langenscheidt	სექტორის გარეშე	კლასის გარეშე	მეორე უცხო ენა (გერმანული)	Optimal A2	755რ	მოსწავლის რვეული	144	2+0	1+1	195 X 265	თერმული	2578	10.00	25780.00
სულაკაური/Langenscheidt	სექტორის გარეშე	კლასის გარეშე	მეორე უცხო ენა (გერმანული)	Optimal B1	756რ	მოსწავლის რვეული	160	2+0	1+1	195 X 265	თერმული	2056	10.00	20560.00
														158670.00

ჯამური ღირებულება დღგ-ს ჩათვლით	158670.00
მიწოდების ვადა	45 დღე

ხელმოწერა		**ბეჭედი**	

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
BAKUR SULAKAURI PUBLISHING
204931164

Klett

Ernst Klett Sprachen GmbH · Rotebühlstr. 77 · 70178 Stuttgart

Bakur Sulakauri Publishing
150 Agmashenebeli Avenue
0122 Tbilisi
Georgien

March 16th 2022

Dear Madam,
Dear Sir,

In addition to our licence contracts about **Genial A1, A2 and B1 and Optimal A1, A2 and B1,** we herewith confirm that we authorize Bakur Sulakauri Publishing Ltd. to raise the editions of each of the following titles for the 2022 reprints:

Titel	ISBN
Genial A1 Student's Book	978-3-12-606229-9
Genial A1 Workbook	978-3-12-606230-5
Genial A2 Student's Book	978-3-12-606244-2
Genial A2 Workbook	978-3-12-606245-9
Genial B1 Student's Book	978-3-12-606215-2
Genial B1 Workbook	978-3-12-606216-9
Optimal A1 Student's Book	978-3-12-606144-5
Optimal A1 Workbook	978-3-12-606145-2
Optimal A2 Student's Book	978-3-12-606157-5
Optimal A2 Workbook	978-3-12-606158-2
Optimal B1 Workbook	978-3-12-606169-8

Ernst Klett Sprachen GmbH
Rotebühlstraße 77
70178 Stuttgart

Postfach 10 60 16
D-70049 Stuttgart

www.klett-sprachen.de

Ansprechpartner:
Elke Kienzle
Foreign Rights Department
Telefon 07 11 · 66 72-1606
Telefax 07 11 · 66 72-2039
e.kienzle@klett-sprachen.de

Ernst Klett Sprachen GmbH
Stuttgart HRB 763 784
Umsatzsteuer-ID-Nr.:
DE 205 824 679

Verleger:
Dr. h. c. Michael Klett
Geschäftsführer:
Hendrik Funke
Matthias Rupp

The additional net royalty amount due has to be paid on receipt of invoice.

Ernst Klett Sprachen GmbH

Stuttgart, March 16th, 2022

Anita Kolb
Head of Foreign Rights Department

EKV_001

Ernst Klett Sprachen GmbH

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
აღმაშენებლის გამზ. 150
0122 თბილისი
საქართველო

16 მარტი, 2022

ძვირფასო ქალბატონო,

ძვირფასო ბატონო,

გარდა ჩვენს შორის არსებული სალიცენზიო ხელშეკრულების **Genial A1, A2, B1, Optimal A1, A2, B1,** ამ დოკუმენტით ვადასტურებთ, რომ შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ უფლებამოსილია გაზარდოს 2022 წელს გამოცემული ქვემოთ ჩამოთვლილი სახელმძღვანელოების გამოცემა:

დასახელება	ISBN
Genial A1 მოსწავლის წიგნი	978-3-12-606229-9
Genial A1 რვეული	978-3-12-606230-5
Genial A2 მოსწავლის წიგნი	978-3-12-606244-2
Genial A2 რვეული	978-3-12-606245-9
Genial B1 მოსწავლის წიგნი	978-3-12-606215-2
Genial B1 რვეული	978-3-12-606216-2
Optimal A1 მოსწავლის წიგნი	978-3-12-606144-5
Optimal A1რვეული	978-3-12-606145-2
Optimal A2 მოსწავლის წიგნი	978-3-12-606157-5
Optimal A2 რვეული	978-3-12-606158-2
Optimal B1 რვეული	978-3-12-606169-8

ანგარიშსწორება უნდა მოხდეს ინვოისის მიღებისთანავე.

Ernst Klett Sprachen GmbH

შტუტგარტი, 16 მარტი, 2022 წელი

ანიტა კოლბ: *ხელმოწერილია*

უცხოელთა უფლებების დეპარტამენტის უფროსი

მთარგმნელი:

8რი ათას ოცდაორი წლის, 17.03

15.03.2022

მე, ნოტარიუსს ქ.თბილისში, მარიკა გოგოლაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: დავით აღმაშენებლის გამზ. №183,

Before me, Marika Gogoladze, notary public duly admitted and sworn in Tbilisi at my notary office located at 183, D. Agmashenebeli Ave.,Tbilisi

მომმართა მოქ. თამარ კაპანაძემ (დაბ. 08/12/1987 მცხოვრები თბილისში, ვარკეთილი 3, 2-ე მ/რ კორპ. 41, ბ. 47, ბ/მ 13IK21620, პირადი №01027034493, გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ 07/05/15-2025)

Personally appeared citizen Tamar Kapanadze (born on 08.12.1987, residing at the address: app 47, build 41, Varketili.,Tbilisi. ID card N 13IK21620, Personal # 01027034493, Issued by citizen's Ministry of Justice on 07/05/15-2025)

მან წარმოადგინა დოკუმენტი და მისივე თარგმანი ქართული ენიდან ინგლისურ ენაზე (ან პირიქით) და მოითხოვა თარგმანზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

By submitting the document and its translation from Georgian into English (or vice-versa) requesting the authenticity of her signature subscribed and affixed to this translation.

მე დავადგინე მოქალაქე თამარ კაპანაძის პირადობა წარმოდგენილი პირადობის მოწმობის საფუძველზე და ასევე შევამოწმე მისი უფლებაუნარიანობა (დიპლომი ბ №003631 გაცემული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ 2009 წელს) და ვადასტურებ, რომ იგი ნამდვილად უფლებამოსილია თარგმნოს.

I have checked the ID of the citizen Tamar Kapanadze on the basis of the ID card and I have also verified the capacity (Diploma B #003631was awarded by Technical University of Georgia in 2009 year)and confirmed that she is really capable to translate.

მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი დოკუმენტის თარგმანს.

Followed she undersigned this document personally in my presence.

თარჯიმანი გაფრთხილებულია, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე.

Translator is warned that she will be responsible for the accuracy of the translation.

გადახდილია თარჯიმნის ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დადასტურებისათვის.

Paid notary service fee for the authenticity of translator's signature

---------- -+ *18% +2 + (რს)* ---------- ლარი (GEL).

ნოტარიუსი

Notary:

მარიკა გოგოლაძე

Marika Gogoladze

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N220281263
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	17.03.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	მარიკა გოგოლაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	საქართველო ქ.თბილისი დავით აღმაშენებლის გამზირი N183
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	marikagogoladze@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	27530765921722

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

მისამართი: დავით აღმაშენებლის
0112 თბილისი
ტელ.: 291 09 54; ფაქსი: 291 11 65;
el-fosta: info@sulakauri.ge

17 მარტი 2022 წ.

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას“ მიერ ფასთა კვლევაში წარმოდგენილი ისტორიის სახელმძღვანელოების ავტორებთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულება ძალაშია.

თინათინ მამულაშვილი

დირექტორი

ბ. სულაკაურის
გამომცემლობა
BAKUR SULAKAURI
PUBLISHING
204931164

განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 10 თებერვალი 2012 წ

ერთი მხრივ შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი" მისი დირექტორის თინათინ მამულაშვილის სახით, (შემდეგში „ლიცენზიანტი"), და მეორე მხრივ, მოქალაქეები: **ლალი ფირცხალავა** (მისამართი: ქ. თბილისი, შატბერაშვილის ქ. #35; პირადი ნომერი: 01008008708), **გიორგი სანიკიძე** (მისამართი: ქ.თბილისი,ი.აბაშიძის ქ. #59; პირადი ნომერი: 01008004889), **ლევან გორდეზიანი** (მისამართი: ქ.თბილისი, სოხუმის ქ. #3; პირადი ნომერი: 01008004379), **ნანა ციხისთავი** (მისამართი: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #16, ბ. 70; პირადი ნომერი: 01008016112), **გიორგი კიკნაძე** (მისამართი: ქ.თბილისი, კოჭორი; პირადი ნომერი: 12001008468), **რევაზ გაჩეჩილაძე** (მისამართი:ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-5 კვარტ. კორპ. #1 ბ.58; პირადი ნომერი:01009000774), **მარიამ ლორთქიფანიძე** (მისამართი: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.52; პირადი ნომერი: 01008000674), **ნოდარ ასათიანი** (მისამართი: ქ.თბილისი, თამარაშვილის ქ. #71 ბ.55; პირადი ნომერი: 01008003346), **ცირა ჩიკვაიძე** (მისამართი: ქ.თბილისი, კაკაბეთის 2ა, ბ.54; პირადი ნომერი: 01011014234), **ფარნაოზ ლომაშვილი** (მისამართი: ა.ყაზბეგის გამზ. 29ა ბ.71; პირადი ნომერი: 01024027068), **როინ მეტრეველი** (მისამართი: ქ.თბილისი, ყიფშიძის ქ. #5 ბ.70), **ზვიად მიმინოშვილი** (მისამართი: ქ.თბილისი, ბოგდან-ხმელინსკის ქ. # 103, კორპ.4 ბ.13; პირადი ნომერი: 01011023331), **გიორგი ოთხმეზური** (მისამართი: ქ.თბილისი, მიცკევიჩის კორპ. 1 ბ.25; პირადი ნომერი: 01024026222) და **ნინო კილურაძე** (მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. .25; პირადი ნომერი: 01008006369) რომლებიც არიან **ისტორიის VII** –დან **XII** კლასების სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორები (შემდეგში „ავტორი"), წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

საავტორო უფლების ობიექტი: ლიტერატურული ნაწარმოებები:
„ისტორია 7" - VII კლასის სასკოლო სახელმძღვანელო წარმოდგენილი მასწავლებლის წიგნით (--69--- გვერდი) და მოსწავლის წიგნით (--336--- გვერდი), **„ისტორია 8"** - VIII კლასის სასკოლო სახელმძღვანელო წარმოდგენილი მასწავლებლის წიგნით (--78--- გვერდი) და მოსწავლის წიგნით (--336--- გვერდი), **„ისტორია 9 (საქართველოს ისტორია)" – IX** კლასის სასკოლო სახელმძღვანელო წარმოდგენილი მასწავლებლის წიგნით (--78--- გვერდი) და მოსწავლის წიგნით (--431--- გვერდი), **„ისტორია 10"** – X კლასის სასკოლო სახელმძღვანელო წარმოდგენილი მასწავლებლის წიგნით (--87--- გვერდი) და მოსწავლის წიგნით (--276--- გვერდი), **„ისტორია 11"** - XI კლასის სასკოლო სახელმძღვანელო წარმოდგენილი მასწავლებლის წიგნით (--71--- გვერდი) და მოსწავლის წიგნით (--520--- გვერდი) და **„ისტორია 12"** – XII კლასის სასკოლო სახელმძღვანელო წარმოდგენილი მასწავლებლის წიგნით (--69--- გვერდი) და მოსწავლის წიგნით (--317--- გვერდი) (იხ. დანართი #1).

მუხლი 2. ავტორი თანახმაა

1. საავტორო უფლების ობიექტის გამოყენების განსაკუთრებული უფლება, რაც განსაზღვრულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით, გადასცეს ლიცენზიანტს (განსაკუთრებული ლიცენზია) ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან საავტორო უფლების ობიექტისათვის სსიპ - განათლების ხარისსხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მინიჭებული გრიფის მოქმედების პერიოდით.

2. ლიცენზიანტს მიანიჭოს უფლება დამოუკიდებლად, საკუთარი გადაწყვეტილებით განსაკუთრებული ან ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულებით საავტორო უფლების ობიექტზე, საავტორო უფლებები გადასცეს მესამე პირს/პირებს; ასევე განსაზღვროს ჰონორარის ოდენობა და გადახდის პირობები.

3. ლიცენზიანტმა საავტორო უფლების ობიექტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის 30/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებულების სახელმძღვანელოსთვის გრიფის მინიჭების წესის“ მოთხოვნათა დაცვით, წარადგინოს სსიპ — განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საბაზო და საშუალო საფეხურებისათვის, ასევე დაწყებითი საფეხურის ზოგიერთი საგნისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოს/სერიის 2012 წლის გრიფირებაში მონაწილეობის მისაღებად.

მუხლი 3. ავტორი ადასტურებს

1. ავტორი ადასტურებს, რომ საავტორო უფლების ობიექტი ეკუთვნის მხოლოდ მას და მისი გამოყენება არ ლახავს მესამე პირთა საავტორო უფლებებს.

2. ავტორი ადასტურებს, რომ არ აქვს გაფორმებული და არც მომავალში, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, დადებს ვინმესთან იგივე საავტორო უფლების ობიექტზე, რაიმე საავტორო უფლებების შესახებ ხელშეკრულებას.

3. ავტორები ადასტურებენ, რომ საავტორო უფლებების ობიექტების ლიცენზიანტზე გადაცემის უფლება არ არღვევს სხვა პირთა საავტორო უფლებებს.

მუხლი 4. ჰონორარი

წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ჰონორარის ოდენობა და გადახდის პირობები განისაზღვრება მოგვიანებით, მხარეთა დამატებითი შეთანხმებით.

მუხლი 5. ავტორის უფლება

ლიცენზიანტის გაკოტრებულად გამოცხადების ან ლიკვიდაციის, ასევე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ 2012 წლის გრიფირებაში მონაწილეობის შედეგად გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულება კარგავს ძალას და ლიცენზიანტისათვის გადაცემული ყველა უფლება უბრუნდება ავტორს.

მუხლი 6. შეთანხმება

ხელშეკრულება შესრულებულია 15 (თხუთმეტი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა „ლიცენზიანტს“, მეორე- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დანარჩენი ყველა კი - „ავტორს.“

მხარეთა რეკვიზიტები

„ლიცენზიატი“

გამომცემლობის დირექტორი:
თინათინ მამულაშვილი
შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

„ავტორი“:

ლალი ფირცხალავა:

გიორგი სანიკიძე:

ლევან გორდეზიანი:

ნანა ციხისთავი:

გიორგი კიკნაძე:

რევაზ გაჩეჩილაძე:

ზვიად მიმინოშვილი:

როინ მეტრეველი:

გიორგი ოთხმეზური:

ნინო კილურაძე:

ფარნაოზ ლომაშვილი:

ნოდარ ასათიანი:

მარიამ ლორთქიფანიძე:

ცირა ჩიკვაიძე:

Klett

Ernst Klett Sprachen GmbH · Rotebühlstr. 77 · 70178 Stuttgart

Bakur Sulakauri Publishing
150 Agmashenebeli Avenue.
0122 Tbilisi
Georgien

Dear Sirs,

March 20, 2021

In addition to our licence contracts about **Genial A1, A2** and **B1** and **Optimal A1, A2** and **B1**, we herewith confirm that we authorize Bakur Sulakauri Publishing Ltd. to raise the editions of each of the following titles for the 2021-2022 reprints. We also confirm, that Bakur Sulakauri Publishing is granted exclusive rights to publish, print and distribute the following titles on territory of Georgia.

Title	Component	ISBN
Genial A1	Student's	978-3-12-606229-9
	Workbook	978-3-12-606230-5
Genial A2	Student's +CD	978-3-12-606244-2
	Workbook +CD	978-3-12-606245-9
	Testbook +CD	978-3-12-606250-3
Genial B1	Student's +CD	978-3-12-606215-2
	Workbook +CD	978-3-12-606216-9
	Testbook +CD	978-3-12-606221-3
Optimal A1	Student's	978-3-12-606144-5
	Workbook	978-3-12-606145-2
Optimal A2	Student's +CD	978-3-12-606157-5
	Workbook +CD	978-3-12-606158-2
	Testbook +CD	978-3-12-606161-2
Optimal B1	Student's +CD	978-3-12-606168-1
	Workbook +CD	978-3-12-606169-8
	Testbook +CD	978-3-12-606172-8

Ernst Klett Sprachen GmbH
Rotebühlstraße 77
70178 Stuttgart

Postfach 10 60 16
D-70049 Stuttgart

www.klett-sprachen.de

Ansprechpartner
Anita Kolb
Foreign Rights Department
Telefon +49 (0)711 6672-5714
Telefax +49 (0)711 6672-2004
anita.kolb@klett-sprachen.de

Ernst Klett Sprachen GmbH
Stuttgart HRB 17155

Verleger
Dr. h. c. Michael Klett
Geschäftsführerin
Elizabeth Webster

The additional net royalty amount due has to be paid on receipt of invoice.

Ernst Klett Sprachen GmbH

Anita Kolb
Head of Foreign Rights Department

EKV_001

Ernst Klett Sprachen GmbH

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

აღმაშენებლის გამზ. 150

0122 თბილისი

საქართველო

20.03.2021 წ.

ძვირფასო ბატონებო,

გარდა ჩვენს შორის არსებული სალიცენზიო ხელშეკრულების Genial A1, A2, B1, Optimal A1, A2, B1, ამ დოკუმენტით ვადასტურებთ, რომ შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ უფლებამოსილია 2021-2022 წელს გამოსცეს ქვემოთ ჩამოთვლილი სახელმძღვანელოები. ასევე ვადასტურებთ, რომ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა ფლობს აღნიშნული წიგნების გამოცემის, ბეჭდვის და საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების ექსკლუზიურ უფლებას.

დასახელება	კომპონენტი	ISBN
Genial A1	მოსწავლის წიგნი	978-3-12-606229-9
	მოსწავლის რვეული	978-3-12-606230-5
Genial A2	მოსწავლის წიგნი+CD	978-3-12-606244-2
	რვეული +CD	978-3-12-606245-9
	სავარჯიშო რვეული +CD	978-3-12-606250-3
Genial B1	მოსწავლის წიგნი+CD	978-3-12-606215-2
	რვეული +CD	978-3-12-606216-9
	სავარჯიშო რვეული +CD	978-3-12-606221-3
Optimal A1	მოსწავლის წიგნი	978-3-12-606144-5
	რვეული	978-3-12-606145-2
Optimal A2	მოსწავლის წიგნი+CD	978-3-12-606157-5
	რვეული +CD	978-3-12-606158-2
	სავარჯიშო რვეული +CD	978-3-12-606161-2
Optimal B1	მოსწავლის წიგნი+CD	978-3-12-606168-1
	რვეული +CD	978-3-12-606169-8
	სავარჯიშო რვეული +CD	978-3-12-606172-8

ანგარიშსწორება უნდა მოხდეს ინვოისის მიღებისთანავე.

Ernst Klett Sprachen GmbH

ანიტა კოლბ: *ხელმოწერილია*

საერთაშორისო უფლებების მენეჯერი

61007007462

მთარგმნელი: ე. არჯევანიძე

ორი ათას ოცდაერთი წლის 24.03 მე, ნოტარიუსს, მარიკა გოგოლაძეს, ქალაქ თბილისში, ამ სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი № 183, მომმართა **მოქ. ელისო არჯევანიძემ (დაბ. 25.08.1983 წ. ქ. გაგრაში), უმაღლესი განათლების დიპლომის მქონე მთარგმნელმა, რეგისტირებული: გაგრა, ს. ხეივანი, ჭავჭავაძის ქ. 11, მისი განცხადებით ამჟამად მცხოვრები: თბილისი, მუხიანი, მ/რ, კორპ. 17, ბ. 78, ID ბარათი 17IA35885, პირადი № 62007007462, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 17.05.2017 წ.** და წარმოადგინა დოკუმეტის თარგმანი და მოითხოვა თარგმანზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მოქ. **ელისო არჯევანიძის** პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე და ასევე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და უფლებაუნარიანობა **(დიპლომი SU N 004691, გაც. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის მიერ, 2004 წ.)** და ვადასტურებ, რომ იგი ნამდვილად უფლებამოსილია თარგმნოს. იგი გაფრთხილებულია იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რაც დეაკისრება არასწორი თარგმნის შემთხვევაში.
მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი დოკუმენტის თარგმანს.

სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადახდილია თარჯიმნის ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურებისთვის 2+18%+2.

ნოტარიუსი მარიკა გოგოლაძე

On the 24.03 two thousand and twenty-one, before me, Marika Gogoladze, the Notary in c. Tbilisi, at my Notary Public Office located at the address: 183, David Aghmashenebeli Ave., Tbilisi, appeared the citizen **Eliso Arjevanidze (born on 25.08.1983 in Gagra), English language Translator with Higher Education Diploma, registered at: N 11, Chavchavadze Str., v. Kheivani, Gagra, as she declared residing at: fl.78, bl.17, I m/r, Mukhiani, Tbilisi, Identity Card # 17IA35885, Personal # 62007007462, issued by Ministry of Justice on 17.05.2017)** and submitted the translation of the document and asked to notarize the authenticity of her signature.

I identified **Eliso Arjevanidze's** identity on the basis of the submitted Identity Card, as well as I checked her capability **(Diploma SU # 004691, issued by Sokhumi Branch of Iv. Javakhishvili Tbilisi State University in 2004)** and confirm that she is really competent to translate.

She personally put her signature on the translation of the document in my presence. Translator is warned about the responsibilities in case of the incorrect translation.

Duty paid for the notary service implementation – notarization of the Translator's signature authenticity 2+18%+2 GEL.

Notary: Marika Gogoladze

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N210266555
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	24.03.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელ ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**მარიკა გოგოლაძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**საქართველო ქ.თბილისი დავით აღმაშენებლის გამზირი N183**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	marikagogoladze@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	93335113242321

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

MES 0 22 0000283530

18/03/2022

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს დირექტორს
ბატონ ლევან სუხიტაშვილს

ამავე სააგენტოს მთავარი სპეციალისტის
ირმა ხუფენიას

სამსახურებრივი ბარათი

ბატონო ლევან,

2022 წლის 09 მარტის №240147 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე ჩატარდა ფასთა კვლევა 2022-2023 სასწავლო წლისთვის არაქართული სექტორის X-XII კლასის (რუსული, სომხური და აზერბაიჯანული) სახელმძღვანელოების და გერმანული ენის სახელმძღვანელოების შესყიდვასთან დაკავშირებით.

ბაზრის კვლევის ეტაპზე, ინფორმაცია შესაყიდი სახელმძღვანელოების შესახებ გაგზავნილი იქნა ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე კომპანიებთან (იხ. საფუძვლებში სამსახურებრივი ბარათი N281460).

მიღებულია შემდეგი შემოთავაზება:

შპს " ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"
ჯამური ღირებულება შეადგენს - 158 670,00 ლარს.
მოწოდების ვადა - 45 კალენდარული დღე

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას" მოწოდების ვადად მითითებული ქონდა 45 დღე, რომელიც შემდგომ დააზუსტა (იხ. საფუძვლებში სამსახურებრივი ბარათი N284073).

შპს გამომცემლობა „ინტელექტი"
ჯამური ღირებულება შეადგენს - 294 286,50 ლარს.
მოწოდების ვადა - 01.08.2022.

შპს გამომცემლობა „დიოგენე"
ჯამური ღირებულება შეადგენს - 146 500,00 ლარს.

მოწოდების ვადა - 60 კალენდარული დღე.

შპს გამომცემლობა „დიოგენეს“ მოწოდების ვადად მითითებული ქონდა 2 თვე, რომელიც შემდგომ დააზუსტა (იხ. საფუძვლებში სამსახურებრივი ბარათი N284073).

შპს „გაზეთი საქართველოს მაცნე“
ჯამური ღირებულება შეადგენს -71 812,00 ლარს.
მოწოდების ვადა - 15.05.2022.

მოწოდების პირობები: ყოველ მოწოდებულ პარტიაზე წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტის დასკვნა (დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება და შესაბამისი ხარჯის გაწევა ეკისრება მომწოდებელს), რის შემდეგაც მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

მოწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ლილო, იუმაშევის ქუჩა N4.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს დანართებში მითითებული სახელმძღვანელოების შესყიდვისთვის სათანადო ღონისძიებების გატარება.

პატივისცემით,

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
დირექტორის პირველი მოადგილის საკურატორო
პროექტების მართვის, საქმისწარმოების და
ლოჯისტიკის დარგში
პროექტების მართვა
მთავარი სპეციალისტი
ხუფენია ირმა

MES 0 22 0000281460

18/03/2022

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს დირექტორს
ბატონ ლევან სუხიტაშვილს

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, რომ N240147 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე ჩატარდა ფასთა კვლევა 2022-2023 სასწავლო წლისთვის X-XII კლასის რუსული, სომხური და აზერბაიჯანული ენის სახელმძღვანელოების შესყიდვასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინფორმაცია ფასთა კვლევის შესახებ გაგზავნილი იქნა ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე კომპანიასთან. შეტყობინება ასევე გაიგზავნა შესყიდვების სააგენტოში ვებ-გვერდზე განსათავსებლად. (№244148 http://www.procurement.gov.ge/ka/n/MarketResearch/research807

მოთხოვნა გაეგზავნა შემდეგ კომპანიას:

დიოგენე	577417971თამრიკო ლებანიზე	tamar@diogene.ge;
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა	593934445 თათა, 599782580 თინა	tata@sulakauri.ge; info@sulakauri.ge; tina@sulakauri.ge; tinamamulashvili@gmail.com; tinamamulashvili@gmail.com
შპს "გაზეთი საქართველოს მაცნე"	239-07-27; 232-09-78 ლევან ფოფხაძე 574 40 08 57; 568105467 თეონა	sakmacne@gmail.com; saqartvelosmatsne@gmail.com
შპს "გამომცემლობა ინტელექტი"	22340430	inteleqti@caucasus.net; ninoodilavadze@yahoo.com

ფასთა კვლევის ვადა განისაზღვრა არაუგვიანეს მიმდინარე წლის 17 მარტის 18:00სთ-მდე.

შემოთავაზებები და ექსკლუზივის დამადასტურებელი დოკუმენტები მივიღეთ ყველა გამომცემლობისაგან:

შპს “ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
ჯამური ღირებულება შეადგენს - 158 670 ლარს.
მიწოდების ვადა - 45 დღე.

შპს გამომცემლობა „ინტელექტი“
ჯამური ღირებულება შეადგენს - 294 286,5 ლარს.
მიწოდების ვადა - 01.08.2022.

შპს გამომცემლობა „დიოგენე“
ჯამური ღირებულება შეადგენს - 146 500 ლარს.
მიწოდების ვადა - 2 თვე.

შპს „გაზეთი საქართველოს მაცნე“
ჯამური ღირებულება შეადგენს -71 812 ლარს.
მიწოდების ვადა - 15 მაისი.

გამოცემლობისაგან ასევე მივიღეთ წერილობითი დასტური, იმის შესახებ რომ ექსკლუზივის დამდასტურებელი დოკუმენტები ძალაშია.

დანართის სახით იხილეთ შემოთავაზებები და დოკუმენტაცია.

დანართი: 21 (ოცდაერთი) ფაილი.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

პატივისცემით,

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
შესყიდვების სამსახური
მთავარი სპეციალისტი(ბაზრის მკვლევარი)
ბაკურაძე სოფიო

MES 3 22 0000284073

18/03/2022

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს დირექტორს
ბატონ ლევან სუხიტაშვილს

ბატონო ლევან,

2022 წლის 18 მარტის N281460 სამსახურებრივი ბარათთან დაკავშირებით, რომელიც შეხება X-XII კლასის რუსული, სომხური და აზერბაიჯანული ენის სახელმძღვანელოების ფასთა კვლევას, დამატებით მოგახსენებთ, რომ გამომცემლობებისაგან მივიღეთ დაკორექტირებული შეტყობინებები მიწოდების ვადებთან დაკავშირებით.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
მიწოდები ვადა - 45 კალენდარულ დღე;

შპს „გამომცემლობა დიოგენე“
მიწოდების ვადა - 60 კალენდარული დღე.

დანართის სახით იხილეთ შეტყობინებები.

დანართი: 2 (ორი) ფაილი.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

პატივისცემით,

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
შესყიდვების სამსახური
მთავარი სპეციალისტი(ბაზრის მკვლევარი)
ბაკურაძე სოფიო

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080145200876422

№ 1301 13 / აპრილი / 2022 წ.

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 8 აპრილს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ SMP220000917 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების X-XII კლასებისთვის განკუთვნილი სასკოლო სახელმძღვანელოები და რვეულები (CPV22100000 - ნაბეჭდი წიგნები, ბროშურები და საინფორმაციო ფურცლები), ღირებულებით - 671268.5 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტების - განათლების ხარისხის და ყველასათვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო ქმნის განათლების სისტემის განვითარების და სათანადო სოციალურ-ეკონომიკური უზრუნველყოფის პირობებს. აღნიშნული მიზნების რეალიზაციისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება სახელმწიფოს მიერ განისაზღვრა ზოგადსაგანმანათლებლო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად. ამ მხრივ ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოსწავლის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფა. შესაბამისად, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ ახორციელებს „მოსწავლეებისა და მასწავლებლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამას“.

არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების X-XII კლასებში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 2011 წლამდე მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმით. შესაბამისად, სწავლება ხორციელდება სახელმძღვანელოებით, რომლებსაც გრიფი მიენიჭა (შემდეგში - ითარგმნა) 2011 წლამდე, აწ უკვე ლიკვიდირებული სსიპ - ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის მიერ.

გერმანული ენის სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით 2013 წლის 21 აგვისტოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლებსა და გერმანული ენის და ფრანგული ენის სპეციალისტებს შორის გამართულ შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საქართველოს სკოლებში გერმანული, როგორც მეორე უცხოური ენის, საბაზო/საშუალო საფეხურზე სწავლებისათვის, გრიფირებული სახელმძღვანელოების დადგენამდე, სკოლებს მიეცათ რეკომენდაცია გერმანულ ენაში განიხილონ სახელმძღვანელოების სერია „Genial“ და „Optimal“.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების საინისტროსა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შორის 2021 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული ლიცენზიის N228 ხელშეკრულების თანახმად ლიცენზიანტი (სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო) ვალდებულია, უზრუნველყოს ხელშეკრულების დანართით

გათვალისწინებული X-XII კლასების სახელმძღვანელოების ბეჭდვა იმ რაოდენობით, რომელიც დააკმაყოფილებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლა) შესაბამისი კლასების მოსწავლეთა მოთხოვნებს 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 21 იანვრის N51077 ბრძანებით განისაზღვრა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის X კლასის სასკოლო სახელმძღვანელოებზე გრიფირების გამოცხადების ვადები და პირობები. აღნიშნულის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ N216912 წერილით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააგენტოს მხრიდან მიზანშეწონილი იქნებოდა თუ არა X კლასის არაქართული სექტორისთვის განკუთვნილი 2012 წელს გრიფირებული, ნათარგმნი სახელმძღვანელოების შესყიდვა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 7 მარტის N228837 წერილის თანახმად, არაქართულენოვანი სკოლების/სექტორებისთვის გრიფირებული სახელმძღვანელოების სასწავლო პროცესში დანერგვა ხდება სახელმძღვანელოსთვის გრიფის მინიჭებიდან ერთი წლის შემდეგ. აქედან გამომდინარე, არაქართულენოვანი სკოლების/სექტორებისთვის X კლასის ახალგრიფირებული სახელმძღვანელოების დანერგვა განხორციელდება 2023-2024 სასწავლო წლებში, მანამდე კი მოსწავლეები უზრუნველყოფილ უნდა იყვნენ აქამდე მოქმედი ნათარგმნი სახელმძღვანელოებით.

რაც შეეხება XI-XII კლასის სახელმძღვანელოებს, მათზე გრიფირება გამოცხადებული არ არის. შესაბამისად, X-XII კლასებში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს წინა წლებში გრიფირებული სახელმძღვანელოების თარგმნილი ვერსიებით.

გამომცემლებსა და ავტორებს შორის გაფორმებულია სათანადო ხელშეკრულებები, რომლებიც ადასტურებენ გამომცემლობების ექსკლუზიურ უფლებამოსილებას გამოსცენ ეს სახელმძღვანელოები და რვეულები. შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება აუცილებელია გაფორმდეს მითითებულ გამომცემლებთან, რომლებიც წარმოადგენენ შესყიდვის ობიექტის ერთადერთ ექსკლუზიურ მიმწოდებლებს საქართველოში.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტების - განათლების ხარისხის და ყველასათვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო ქმნის განათლების სისტემის განვითარების და სათანადო სოციალურ-ეკონომიკური უზრუნველყოფის პირობებს. აღნიშნული მიზნების რეალიზაციისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება სახელმწიფოს მიერ განისაზღვრა ზოგადსაგანმანათლებლო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად. ამ მხრივ ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოსწავლის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფა. შესაბამისად, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ ახორციელებს „მოსწავლეებისა და მასწავლებლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამას“.

არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების X-XII კლასებში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 2011 წლამდე მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმით. შესაბამისად, სწავლება ხორციელდება სახელმძღვანელოებით, რომლებსაც გრიფი მიენიჭა (შემდეგში - ითარგმნა) 2011 წლამდე, აწ უკვე ლიკვიდირებული სსიპ - ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის მიერ.

გერმანული ენის სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით 2013 წლის 21 აგვისტოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლებსა და გერმანული ენის და ფრანგული ენის სპეციალისტებს შორის გამართულ შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საქართველოს სკოლებში გერმანული, როგორც მეორე უცხოური ენის, საბაზო/საშუალო საფეხურზე სწავლებისათვის, გრიფირებული სახელმძღვანელოების დადგენამდე, სკოლებს მიეცათ რეკომენდაცია გერმანულ ენაში განიხილონ სახელმძღვანელოების სერია „Genial“ და „Optimal“.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების საინისტროსა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შორის 2021 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული ლიცენზიის N228 ხელშეკრულების თანახმად ლიცენზიანტი (სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო

ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო) ვალდებულია, უზრუნველყოს ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული X-XII კლასების სახელმძღვანელოების ბეჭდვა იმ რაოდენობით, რომელიც დააკმაყოფილებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლა) შესაბამისი კლასების მოსწავლეთა მოთხოვნებს 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 21 იანვრის N51077 ბრძანებით განისაზღვრა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის X კლასის სასკოლო სახელმძღვანელოებზე გრიფირების გამოცხადების ვადები და პირობები. აღნიშნულის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ N216912 წერილით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააგენტოს მხრიდან მიზანშეწონილი იქნებოდა თუ არა X კლასის არაქართული სექტორისთვის განკუთვნილი 2012 წელს გრიფირებული, ნათარგმნი სახელმძღვანელოების შესყიდვა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 7 მარტის N228837 წერილის თანახმად, არაქართულენოვანი სკოლების/სექტორებისთვის გრიფირებული სახელმძღვანელოების სასწავლო პროცესში დანერგვა ხდება სახელმძღვანელოსთვის გრიფის მინიჭებიდან ერთი წლის შემდეგ. აქედან გამომდინარე, არაქართულენოვანი სკოლების/სექტორებისთვის X კლასის ახალგრიფირებული სახელმძღვანელოების დანერგვა განხორციელდება 2023-2024 სასწავლო წლებში, მანამდე კი მოსწავლეები უზრუნველყოფილ უნდა იყვნენ აქამდე მოქმედი ნათარგმნი სახელმძღვანელოებით.

რაც შეეხება XI-XII კლასის სახელმძღვანელოებს, მათზე გრიფირება გამოცხადებული არ არის. შესაბამისად, X-XII კლასებში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს წინა წლებში გრიფირებული სახელმძღვანელოების თარგმნილი ვერსიებით.

გამომცემლებსა და ავტორებს შორის გაფორმებულია სათანადო ხელშეკრულებები, რომლებიც ადასტურებენ გამომცემლობების ექსკლუზიურ უფლებამოსილებას გამოსცენ ეს სახელმძღვანელოები და რვეულები. შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება აუცილებელია გაფორმდეს მითითებულ გამომცემლებთან, რომლებიც წარმოადგენენ შესყიდვის ობიექტის ერთადერთ ექსკლუზიურ მიმწოდებლებს საქართველოში.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომსახურების გაწევაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგელობას. ამასთან, წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ SMP220000917 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად ზაზა ნანობაშვილი